

**ერთი ტიპის თხზულ სიტყვათა ინტერპრეტაციისათვის ქართულში**

თანამედროვე ქართულში არსებობს სახელისა და ზმნისგან შედგენილი -ია სუფიქსით დაბოლოებული კომპოზიტები ცხენიპარისა ტიპისა. სპეციალისტები მათ განმარტავენ შემდეგნაირად: (1) მეორე კომპონენტი, ე.ი. ზმნური ფუძე, სემანტიკურად უახლოვდება მოქმედებითი გვარის მიმღეობას; (2) მეორე კომპონენტი ბრძანებითის ფორმაა; (3) პირდაპირი დამატება გამოხატულია არსებითი სახელით, ხოლო მეორე კომპონენტი არის მიმღეობა, რომელიც ეყრდნობა აორისტს და დაკარგული აქვს თავისი პრეფიქსი; (4) იგი შედგება პირდაპირობიექტიანი მიმღეობისა და -ა სუფიქსიანი საწყისისაგან; (5) ასეთ ფორმათა ზმნური კომპონენტი ეყრდნობა საწყის ფორმას, რომელიც გამოხატავს ქონა-ყოლას; (6) ისინი გამოიყენება მიმღეობის ფუნქციით, თუმცა არსებობს მათგან სტილისტიკური ნიუანსებით განსხვავებული პარალელური ფორმებიც.

ასეთ თხზულ სიტყვათა სახელადი ნაწილი ან ნათესაობითშია, ან სახელობითსა და მიცემითში. ამათგან ყველაზე ხშირად ნათესაობითი გვხვდება.

ენის შინაგანი აგებულება შინაფორმაში წარმოჩნდება ენობრივი ხედვის საშუალებით, რაც მოტივაციათა დინამიკურობაში იჩენს თავს. ჩვენს შემთხვევაში სახელდება უსაბაბო არ იქნებოდა და, სემანტიკური ველიდან გამომდინარე, წარმოქმნილი სიტყვა მოდელის მიხედვით ფორმდება -ია სუფიქსით.

-ია სუფიქსიანი ფორმები ადვილად გასამიჯნია ამ პოლისემიური აფიქსის სხვა წარმონაქმნთაგან. ყალიბი თითქოს მიმღეობისაა, მაგრამ თხზვის რაკურსი მიმღეობისას არ ემთხვევა. მის სპეციფიკურობას, ჩვენი აზრით, -ია სუფიქსი უნდა აპირობებდეს იმითაც, რომ იგი არ ფიგურირებს მიმღეობის პრეფიქს-სუფიქსურ ინვენტარში. მოქმედებითი გვარის მიმღეობის სუბიექტი *nomen agentis*-ია, პირია, რომლის ძირითადი საქმიანობაა აღნიშნული. -ია სუფიქსიანი წარმონაქმნის შემთხვევაში კი სუბიექტი თავის თავზე არასდროს არ იტყვის, ქვაწუნია ან ადლიბოტია ვარო, მაშინ, როცა მშენებელი ვარ ან მმართველი ვარ-ის თქმას წინ არაფერი უდგას. სახელმდებელს მრავალთაგან ერთი თვისება შექენილი ჩვევის ასპექტში აქვს დაფიქსირებული და სახელდების სუბიექტი ხასიათდება იმ კუთხით, რომლის წარმოჩენაც მისთვის დიდად სახარბიელო არ უნდა იყოს. უკვე თვისებად გადაქცეული ჩვევა მესამე პირის თვალთ არის შემჩნეული, რასაც მოსდევს შერქმევის აქტი. მოკვლეულ მასალაში დაფიქსირებულია შთაბეჭდილება აღსანიშნის თუ აშკარა არა, ერთგვარად მაინც უარყოფითი ნიუანსის შემცველ ჩვევაზე. ამდენად, ადლიბოტიადან ჯამიტლეკიამდე სახელდებათა ერთგვარად “ენებული” დიაპაზონია.

თხზვის ამ მოდელით წარმოქმნილი სიტყვები ანდაზებშიც დასტურდება

– დოჭამიას დო აგონდებოდა და ყველიჭამიას – ყველიო; დღისით კევისდეჭიო, ღამე – საქმისკეთიო.

შინაარსობრივად არაერთგვაროვანი ერთეულების შემცველი კორპუსი სემანტიკურად ასე ჯგუფდება:

მცენარეთა სახელები: კატაპარია, ნამიკრეფია, ფერიჭამია, ფესვიჭამია, წყალიკრეფია და სხვ.

მწერების სახელები: ბეწვიჭამია, თესლიჭამია, კვერცხიჭამია, კოკრიჭამია, ლაფნიჭამია, ლეშიჭამია, მარცვლიჭამია, ნემსიპარია, ნემსიყლაპია, ტყავიჭამია, ფოთლიჭამია, ქერქიჭამია, ყანაჭამია, ცილაჭამია და სხვ..

ფრინველთა სახელებად გვხვდება: ბატკნიჭამია, ბაყაყიჭამია, ბაყაყიყლაპია, ბზეწვია, გველიყლაპია, თავიდრეკია, თევზიპარია, თევზიყლაპია, თვალჭყეცია, ღამიტოპია, ღამიყლაპია, მზეწვია.

თევზის სახელია ქარიყლაპია.

ცხოველის სახელია ჭიანჭველაჭამია.

ტოპონიმებია: ცხვარიჭამია, ტაშიკვრია, ქვაყუნტია, კამბეჩიგაძვერია და სხვ.

ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონში ამ მოდელის 3 ტერმინი აღმოჩნდა:

კაუჭხვეტია (скребок-крючок), კირღულია (известь-кипелка) და მიწახაპია (землечерпалка).

უპირატესად ნათელია პარიასა და ყლაპიასთან მიერთებულ სახელთა მნიშვნელობები (თუმცა კი ცოდვიჭამია ნიშნავს წამგლეჯს, აზრთყლაპია ცენზორს და ხარიპარია კი ვარსკვლავის სახელია), მაგრამ ამ ერთცნებიან კომპოზიტთა უმრავლესობა გადატანითი მნიშვნელობითაა დამკვიდრებული ჩვენს ენაში: დოყლაპია ბოთეს უწოდეს, კევიდეჭია ლაპარაკის მომაბეზრებელი ჩვევის მქონეა, ქარიფანტია ქარაფშუტაა, ქვახარშია – ძუნწი, ცხვირიბზეკია კი უკადრისის აღმნიშვნელია და ა. შ.

კომპონენტთა მნიშვნელობა არცერთგან არაა გაბუნდოვანებული და ამგვარი სიტყვები მეტსახელად ფუნქციობისას (უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა სწორედ თიკუნია) ზოგჯერ პიროვნების ნამდვილ სახელს ჯაბნის.

ქართული ანთროპონიმიკონის კვლევისას მეტსახელად თუ გვარსახელის ფუძედ შეგვხვდა ოცდაათამდე ამ ტიპის კომპოზიტი. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს თიკუნის შერჩევის მოტივი და რადგან გვარების ფუძეთა უმეტესობა სწორედ მეტსახელებს ემყარება, კონკრეტული ფაქტისგან გვარის წარმოქმნის მოწმენი ვხდებით.

ონომასტიკის განვითარების მიხედვით, ქართულ ზღაპრულ ეპოსში გამოიყოფა სამი ძირითადი ციკლი: 1) ანონიმური პერსონაჟები, 2) პერსონაჟთა თვისებებთან დაკავშირებული მეტსახელები და 3) საყოველთაო გავრცელების

ონომასტიკა. ჩვენთვის საინტერესო ტიპის სახელები უხვადაა აღბეჭდილი ზღაპრებში, საიდანაც, თავის მხრივ, ხალხის რეალური ყოფიდან აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, წყალიპარია ბევრ წყალს სვამდა, ცაჭვრეტია სულ ცაში იცქირებოდა, ბელტიყლაპია ხნულიდან ბელტებს ყლაპავდა, ჩიტკაღია ცხრა მთას იქით ჩიტს კლავდა, კვერცხიპარია გვრიტს ბუდიდან ჩუმად კვერცხებს აცლიდა, ნაცარქექია სულ ერთიანად ნაცარს ქექავდა და მეტსახელიც შესაფერისი შეურჩიეს.

ჩვენი აზრით, ზემოთ განხილული კომპოზიტი მარტივი გავრცობილი წინადადების ფარდია. ამ წინადადების შეკუმშვის (კომპრესიის) შედეგად მიიღება გაარსებითებული ლექსიკური ერთეული. წინადადებისგან მომდინარე ეს სიტყვა შეიცავს ზმნის ფუძეს, რითაც ინარჩუნებს პრედიკატულობას და სახელადი ნაწილით გამოხატულ პირდაპირ დამატებასაც მიემართება, ხოლო თვით კომპოზიტი -ია სუფიქსის მეშვეობით ქვემდებარის სტატუსს ირგებს. რთული სიტყვის შინაარსი კომპონენტთა სემანტიკური გამჭვირვალობის გამო ქმნის ადეკვატურ წარმოდგენას და წინადადების აქტუალური დანაწევრება ერთცნებიან კომპოზიტად წარმოჩნდება. თავისუფლად შეიძლება ამ სიტყვათა გავრცობილ მორფოსინტაქსულად მიჩნევა, რაც შეკუმშული წინადადების ეკვივალენტად გვესახება.

ამ ფაქტის ტიპოლოგიურ ასპექტში გასამაგრებლად მივმართავთ რუსულს.

რუსულში ფუძეთა რაგვარობისა და კომპონენტთა სინტაქსური კორელაციის მიხედვით გამოიყოფა თხზულ სიტყვათა რამდენიმე ძირითადი ტიპი.

თხზული სიტყვები, რომლებიც იქმნება e ან o შემაერთებელი ხმოვნებით, რომელთა ფუძის პირველი ნაწილი არსებითია, ხოლო მეორე ნაწილი – ზმნის ძირი (სუფიქსითა თუ სუფიქსის გარეშე), ერთიანდება პირველ ტიპში. ისინი იყოფა შემდეგ ქვეტიპებად:

მამრობითი სქესის არსებითი სახელები – ძირითადად პირთა და მოწყობილობათა სახელები. აქ შემადგენელ ნაწილთა კორელაცია შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: კომპოზიტი გამოხატავს აგენსს, სუბიექტს, იგია მოქმედების შემსრულებელი: **конокрад** ‘ცხენიპარია’, **волкодав** ‘ნაგაზი’, **свинопас** ‘მეღორე, ღორების მწყემსი’, **ветрогон** ‘ქარაფშუტა, თავქარიანი’ (გადატანითი მნიშვნელობით); **пылесос** ‘მტვერსასრუტი, და სხვ. კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებში შეიძლება გადმოიცეს ურთიერთობა მოქმედსა და მის მიერ შესრულებულ მოქმედებას შორის.

ამ ქვეტიპის კომპოზიტების შორის მეორე ჯგუფში პროლუქტიულია შემდეგი ზმნური ძირები:

a) სუფიქსის გარეშე:

-вар – пивовар ‘მელუდე’, -вед – языковед ‘ენათმეცნიერი’, -вод –

пчеловод ‘მეფუტკრე’, -дел – винодел ‘მელვინე’, -коп – землекоп ‘მიწის

მთხრელი’, -ЛОВ – ПТИЦЕЛОВ ‘მეჩიტბადე’ და სხვ.

სემანტიკურად ამ მოდელით სიტყვაწარმოების მხოლოდ ზემოთ მოცემული, უპირატესად human being-თან დაკავშირებული ქვეტიპია ქართულის მსგავსი. რა თქმა უნდა, ქართულს, ისევე როგორც რუსულს, თავისი საკუთარი წესები და საშუალებები აქვს. ასე, მაგალითად, რუსული e ან ი შემაერთებელი ხმოვნების, ე. წ. ინტერფიქსების, ფარდი ქართულში არა გვაქვს. არც რუსულ აფიქსურ ინვენტარში არაა -ია სუფიქსის ეკვივალენტური ერთეული და სხვ. მაგრამ რთული სიტყვების ამ ტიპს ორივე ენაში წარმოების თვალსაზრისით ერთი მნიშვნელოვანი თვისება აერთიანებს: კომპოზიციისეული ზმნური ძირი საერთო კია როგორც პირიელი, ასევე უპირო პარადიგმებისათვის, მაგ., პარ- (პარვა ზმნის ძირი ყლაპ-), (ყლაპვა ზმნის ძირი), ლოკ- (ლოკვა ზმნის ძირი), ბერტყ- (ბერტყვა ზმნის ძირი), თეს- (თესვა ზმნის ძირი) და სხვ. პირიელ ფორმებს ემთხვევა ორი ძირი: ჭამ- (ჭამა ზმნის ძირი), ისევე როგორც კრეფ- (კრეფა ზმნის ძირი) II პირის მს. რიცხვის აწმყო დროის ფორმის იდენტურია – (შენ) ჭამ, (შენ) კრეფ. ასევეა რუსულშიც: -вар- -вед-, -вод-, -дел-, -коп-, -лов- და სხვ. არ ემთხვევა არც ერთ კონკრეტულ ზმნურ ფორმას. конокрад-ის -крад კი შედის я краду-ში ‘მე ვიპარავ’, მაგრამ საკუთრივ -крад არსად არ ფუნქციონირებს, თუ არ ჩავთვლით ორ დამთხვევას ამ ფორმათა სიმრავლიდანაც: каменотёс ‘ქვისმთლელი’ – тёс ‘თლიდა’ (III პირი, მს. რიცხვი, წარსული დრო) და свинопас ‘ღორების მწყემსი’ – пас ‘მწყემსავდა’.

ამ რიგის სიტყვაწარმოებისას როგორც ქართული, ასევე რუსული ენა იმ ფორმას ააქტიურებს, რომელიც არსად არ გამოუყენებია.

ფაქტობრივად, ქართულში ეს არის მარტივი გაუვრცობელი წინადადების ფარდი ლექსიკური ერთეული. პრედიკაცია მანიფესტირებულია ზმნის ძირით (ყოველგვარი აფიქსის გარეშე), საკუთრივ კომპოზიტი -ია სუფიქსის მეშვეობით ააქტიურებს ქვემდებარეს, მოქმედს, ხოლო არსებითი სახელით გადმოცემულია პირდაპირი ობიექტი.

რაც შეეხება ობიექტის ბრუნვას: როგორც წესი, ესაა ნათესაობითი, რადგან იგი ეთანხმება საწყისს. მიცემითი ბრუნვა აუცილებელია იმ კვეცად ხმოვანფუძიან სახელებთან, რომლებიც ბოლოკიდურ ხმოვანს არ იკვეცენ (მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა სავსებით ბუნებრივი ჩანს). ასეთ შემთხვევებში მიგვაჩნია, რომ პრედიკატული ნაწილი ახლანდელი დროის პირიელი ფორმაა. პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია, როცა ზმნური ნაწილი ივარაუდება პირიელი ფორმით აორისტში (ბარტყიჭამია < ბარტყი ჭამა, ბაყაყიყლაპია < ბაყაყი ყლაპა). პირიელი ფორმები ერთგვარად ამაგრებს წინადადების შეკუმშვის (კომპრესიის) პიპოთეზას.

ქართულში ამ ფორმათა რაოდენობამ ორასს გადააჭარბა.

Marika Jikia

(Tbilisi)

### For the Interpretation of One Type Compound Words in Georgian

In contemporary Georgian there are compounds of the type noun + verbal stem + ia (suffix). Specialists interpret these forms in the following ways: (1) the second component, i.e. the verbal stem, semantically approximates to the active participle; (2) the second component is represented by the imperative; (3) the direct object is expressed by noun and the second component is a participle which is based on the aorist and has lost its prefix; (4) it consists of the participle with a direct object and an infinitive with the suffix -a; (5) the verbal components of these forms are based on the stems of infinitives -- they express the "possession" of the action denoted by infinitives; (6) they function as participles, confirmed by the existence of the parallel forms as well, although these forms differ in stylistic nuances.

The forms with -ia express state and denote some property as a result of subsequent reinterpretation. The case of the nominal components of these compounds is also differently interpreted -- nominative, genitive and dative cases are often mentioned thereupon, although the genitive is considered more acceptable.

Internal structure of a language shows itself in an inner form through a linguistic vision, which becomes apparent in dynamical ability of motivations. In our case naming should not be without reason and, proceed from the semantic field, the derivative word took -ia suffix according to the model.

The forms with -ia suffix are easy to distinguish from other derivatives of this polysemic affix. The model seems to be that of a participle, but the type of composition does not coincide with that of a participle. Its specificity, in our opinion, would be conditioned by -ia suffix because we do not meet it among the prefixes and suffixes, which form participles. The subject of a participle of active voice is nomen agentis, person, the main activity of which is mentioned. In case of derivative with -ia suffix subject will never say about him/herself that he/she is kvac'uria 'stone sweater' which means 'stingy' or adlibot'ia 'who takes great strides forward', while nothing would do any harm if he/she says "I am a builder" or "I am a manager". One trait of character in the aspect of accepted habit is noticed by a person who gives a name and the person who is named is characterised from a point of view not very pleasant for him/her. That habit or the one, already transformed into a trait of character, is noticed by a third person and

has given a name. We have impression that in the collected material this given name of the mentioned person shows may be not evident, but a nuance of his/her negative habit. So, from adlibot'ia to žamit'leka 'dish-licker' there is in some way "hurt" range.

This model of composition is evidenced also in some proverbs: doč'amias do agondeboda da q'velič'amias – q'velio 'Yoghurt eater remembers yoghurt and cheese eater – cheese'; dʏisit k'evisye č'iao, γame – sakmisk'etiao 'In daytime -- gum chewer, at night -- work worker', etc.

These compound units are unequal by their content and can be semantically grouped as follows:

The plant names: k'at'ap'aria 'cat-stealer,' namik'repia 'dew-collector', perič'amia 'colour-eater', pesvič'amia 'root-eater', c'q'alik'repia 'water-collector', etc.

The insect names: bec'vič'amia 'fur-eater', teslič'amia 'seed-eater', k'vercxič'amia 'egg-eater', k'ok'rič'amia 'bud-eater', lešič'amia 'carrion-eater', marcvič'amia 'kernel-eater', nemsip'aria 'needle-stealer', nemsiq'lapia 'needle-swallower', tq'avič'amia 'leather-eater', potlič'amia 'leaf-eater', kerkič'amia 'crust-eater', cilač'amia 'white-eater', etc.

The names of birds: bat'knič'amia 'lamb-eater', baq'aq'iq'lap'ia 'frog-swallower', baq'aq'ič'amia 'frog-eater', gveliq'lapia 'snake-swallower', tavidrek'ia 'head-bower', tevzip'aria 'fish-stealer', tevziq'lapia 'fish-swallower', tvalč'q'etia 'eye-starer', lamiq'lapia 'silt-swallower', etc.

The name of fish: kariq'lapia 'wind-swallower' (pike).

The name of animal: č'ianč'velač'amia 'ant-eater'.

Toponyms: cxvari č'amia 'sheep-eater', t'ašikvria 'applauder', etc. c'

In a dictionary of technical terms were found some units with -ia ending, which are the loan-translations, calques from Russian: k'auč'xvet'ia <sk'rebok'-k'rjučok 'scraper-hook', k'irduyia <izvest,-k'ipelk'a 'lime-boiler' mic'axap'ia <zemlečerpalk'a 'ground-digger', etc.

The meanings of names, joined to č'amia 'eater', p'aria 'stealer' and q'lap'ia 'swallower' are mostly clear (although codvič'amia 'sin-eater' means 'grabber', azrtq'lapia 'swallower of ideas' means 'censor' and xarip'aria 'bull-stealer' is the name of a star, etc.). But the most part of these composite words with single notion are widespread in a figurative sense: doq'lap'ia

'yoghurt swallower' – 'blockhead', k'eviyeč'ia 'gum chewer' – 'who bores with long conversations', karipant'ia 'wind-spender' – 'thoughtless', kvaxaršia 'who boils the stone' – 'skinflint', cxviribzekia 'who throws back one's nose' – 'haughty', etc.

The meanings of components everywhere is clear and the words when they functioned as nicknames of human beings (and we should say that most of them are nicknames), they sometimes dominated over the real names of persons.

During research of Georgian anthroponymics we met about thirty composites of this kind used as nicknames or stems of personal or family names. In these words the motivation of choice of nickname is clear and as the most stems of family names are based on nicknames, we become witnesses of creation of family names from real facts.

According to development of onomastics in Georgian epos of fairy tale can be distinguished three main cycles: 1) anonymous personages, 2) nicknames, connected with the traits of personages and 3) onomastics of common dissemination. In fairy tales there are plenty of names we are interesting in. They penetrated there from real life of people. For example, c'q'aliparia 'water-stealer' drunk a lot of water, cač'vret'ia 'skylooker' was looking at the sky all time, k'vercxip'aria 'egg-stealer' was stealing eggs from the nid of a turtle-dove, nacarkekia 'ash delver' delved into ashes and got appropriate nickname.

In our opinion, above examined composite is equal to a simple extended sentence. As a result of compression of this sentence a lexical unit becomes a substantive. This composite, derived from a sentence, containing a verb stem, keeps its predicative character and the treats, connected to an object, which is expressed by a nominal part. The meaning of this compound word makes an adequate idea because of clearness of its components and the crucial segmentation appears as a one-notion composite. We can easily consider these words extended morphosyntaxemes which seem to be equivalent to compressed sentences.

To confirm this fact typologically we will apply to Russian.

In Russian according to character of stems and to syntactical correlation of parts can be distinguished several main types of compound substantives.

The compound words, which are made by means of binding vowels o or e and a stem of a substantive in the first part and root of a verb in the second, with or without a suffix are categorised as those of the first type. They are divided into following subtypes:

1. Substantives of masculine gender, - mainly names of persons, devices and more rarely names of actions. The correlation of parts here may be various: first part may have meaning of an object of action: k'onok'rad 'horse-stealer', volk'odav 'wolf-strangler', vet'rogon 'wind-driver'(literally), in a figurative sense 'empty-beaded person', p'ylesos 'vacuum-cleaner', svinop'as 'swine-herd', etc. Both parts can express the relations between an actor and act made by it/him/her.

The most productive second parts of the composites of this subtype are verbal morphemes:

a) Without suffixes:

-var -- p'ivovar 'brewer', -ved -- yazykoved 'linguist', -vod -- p'čelovod 'bee-keeper', -del -- vinodel 'wine-maker', -k'op -- zemlek'op 'navvy', -lov -- p't,icelov 'bird-catcher', etc.

Only the above mentioned subtype of word forming, according to this model and connected mostly with a human being, is semantically like the Georgian one. Georgian, as well as Russian, of course, has its own rules and possibilities. For example, we have not in Georgian so-called interfixes, similar of the Russian e and o binding vowels. Nor the Russian inventory of affixes has an equivalent unit of -ia suffix, etc. But this type of compound words in both languages have a common important trait from the point of view of word forming: though the verb stem of composite is common for personal and non-personal paradigms, e.g., -var-, -ved-, -vod-, -del-, -k'op-, -lov-, etc., but there is no such kind of verbal form in the language. -k'rad of k'onok'rad 'horse-stealer' is in the form Ja k'radu - 'I steal', but k'rad itself does not function anywhere. There are only two exceptions: k'amnot,jos 'stonemason' -- t,jos 'was hewing' (III person singular, past tense) and svinop'as 'swine-herd' -- p'as 'was looking after the herd of animals'. So is in Georgian: p'ar-(root of the verb p'arva 'to steal', q'lap'- (root of the verb q'lap'va 'to swallow'), lok'-(root of the verb lok'va 'to lick'), bert'q'- (root of the verb bert'q'va 'shake out'), tes-(root of the verb tesva 'to sow'), etc. do not coincide with personal forms except: č'am-(root of the verb č'ama 'to eat') and k'rep-( root of the verb k'repa 'to collect') coincide with the forms of the II person singular of the present tense -- (shen) č'am 'you eat//you are eating' and (šen) k'rep 'you collect//you are collecting'.

So, in this model of word forming in Georgian, as well as in Russian, the language makes active the form, which it has nowhere used.



Actually in Georgian it is the model of the simple non-expanded sentences, in which the agent is expressed by the suffix -ia and the whole compound represents an agent. Predicate is related to the verbal constituent, which is manifested by the verbal root without any affixes and the direct object is expressed by the noun. As for the case of the object, generally it is the genitive, implying that it agrees with the infinitive. The dative is obligatory when the names with losable vocal ending do not lose their final vocal (dropping off the dative suffix seems quite natural). In such cases, we regard the predicative constituent as the finite form of the present tense. The direct object is in the nominative case when the verbal component is presented by the finite form in aorist (bart'q'ič'amia 'nestling eater' < bart'q'i (nom. case) č'ama '(he/she/it) ate a nestling', baq'aq'iq'lap'ia 'frog-gulper' <baq'aq'i (nom. case) q'lap'a' (he/she/it) gulped a frog'. The finite forms corroborate the hypothesis of sentence-compression.

There are over two hundred such forms in Georgian and they are increasing in number.